წელიწადი მეორე ფასი 5 კაპ. ხუთშაბათი, 21 მკათათვე 1916 წ. № 161

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ-გვერდზე პეტიტით ღირს 20 კ., ბოლოსკნელზე—10 კ., ბოლოსწინა გვერდზე **ღებულ განცხადებათა** ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 4 მ.; 20×2 ღირს 8 მ., 25×2 ღირს 7 მ. 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში ეღ. 1 მ. მეტი.

დამატებანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

ფასი ერთ ნომერი: ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 40 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.

ფასი: წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 თიბათვიდან—9 მან.

სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 3 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.

გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.

ფოსტის მისამართი: Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.

რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**

კვირას, 24 მკათათვეს დიდუბის ეკლესიაში დანიშნულია ორმოცის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის

ალექსანდრე თევდორეს ძის

ყიფშიძის

სულის მოსახსენებლად, რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ჭირისუფალნი

გრიგოლ თევდორეს ძე ყიფშიძე მეუღლითა და შვილებით მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 24 მკათათვეს დიდუბის ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის მისის ძმის

ალექსანდრე თევდორეს ძის

ყიფშიძის

სულის მოსახსენებლად

პოლკოვნიკი ზაქარია თევდორეს ძე ყიფშიძე მეუღლითა შვილებით მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 24 მკათათვეს დიდუბის ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის მისის ძმის

ალექსანდრე თევდორეს ძის

ყიფშიძის

სულის მოსახსენებლად

პარასკევს, 22 მარტს ქ. გორის საეკლესიო ტაძარში გადახდილი იქნება 7 დღის შესრულების თავზე წირვა და პანაშვიდი ახლად გარდაცვალებულის

ევა სეითის ასული ნასარიძის

სულის მოსახსენებლად, რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ შვილები: ვალენტინა მიხეილის ასული კვიტინაძისა, ბარბარე მიხეილის ასული კაპანაძისა, ნინო, თამარი, ქეთევანი, ელენე, გიორგი და ალექსანდრე ნასარიძეები და სიძე ქრისტეფორე კაპანაძე

(1-270-1)

ხარფუხის საზოგადო კლუბი

(მიხეილის პროსპექტი № 131, საზაფხულო შენობაში)

ხუთშაბათს, 21 მკათათვეს,

სინემატოგრაფი, საზანდარი

სტუმრები საზოგადო წესით.

(1—186—1) **დასაწყისი საღამოს 9 საათზე.**

ვაგზლის სამკურნალოში

(**შიხინოკის ვაგზლის აფთიაქის გვერდით**)

სამკურნალოს ყველა ექიმებმა კვლავ განაახლეს ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე.

გრეთვე ექიმი—ქალი მარ. კონ. იოსელიანისა მიიღებს **დედათა სნეულებით** ავადმყოფთ დილის 10—11 საათამდე.

ღვინის საწყობი

ნიკო გ. სესიაშვილისა

იყიდება ხელსაყრელ ფასებში საუცხოვო ნამდვილი

კახური ღვინო

განოვის ქუჩა № 4.

——— **სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა.** ———

(185—წ.)

ლუდუმის

საგზოსაგან არჩეული

სამოსწავლო საქმეების

გამგე კომისია

ამით აცხადებს, რომ პირველ-დაწყებითი სკოლებისათვის ძალაძი იწვევს

ქართულის კარგად მცოდნე ორ მასწავლებელს

ჯამაგირი წლიური 500 მან. თხოვნა მიიღება 15 მარტამდისთვემდე.

ქალაქის მოურავი **ნიკო თავდგირიძე.**

(2-185-1)

ფეფის საწყობი

ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა

ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა

ყველასთვის ხელმისაწვდენ ფასს

საკუთარი ტყიდან

ხაწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც

(103—წ.) ტელეფონი 5—96.

პირველ ხარისხოვანი რესტორანი

კაფე პარიზი

ახლად მოწყობილი მსგავსად სატახტო ქალაქთა რესტორანებისა.

(სასახლის ქუჩაზე „ახალ კლუბის“ ქვეშ)

სიცხისაგან თავის შეფარება მხოლოდ „კაფე პარიზში“ შეიძლება.

ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომია

ყოველ დღე მზადდება

საუზმე	**ჩაი**
სადილები	**ყავა**
	ხაჭაპური
ვახშმები	**პიროშკები**

ადგილობრივი და უცხოური საჭმელები, კარაქზე, გამოცდილ მზარეულის ხელმძღვანელობით.

პატივისცემით **სილ. ს. გიგიბერია.**

გ. მ. მუხაძე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: **კუთხე კიროჩნი** და **დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი** მთავრის **ქუჩიდან № 67** ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

ექიმი მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის **უნივერსიტეტის** ვენერიულ **კლინიკის ორდინატორად** ნამყოფი **იღებს** ავადმყოფებს **კანისა** და **ვენერიულის** სნეულებით **ყოველ** დღე 3—5 საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, **რაზიეზდის** ქუჩა, № 19.

დ. ზესტაფონში

ექიმი

დ. კ. მაჭავარიანი

იღებს ავადმყოფებს **ყოველ** დღე

ექიმი

მ. დ. ღინაგაძეგრიგოლი

ყ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის **კლინიკებისა** გადმოვიდა **თბილისში** და **იღებს შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს; **გულისა,** ფილტვებისა და სისხლის **სნეულებიანს** სპეციალურად, **საღამოს** 5—7 **საათამდე,** მიხეილის ქ. № 36, **მეორე სართული.**

ვაგზალდაგთ პიროგით

პრაპორშჩიკთა **სკოლისათვის.** მაცადინეობა **დაიწყო.** მსურველთა **მიღება** გრძელდება. **პირადათ** მოლაპარაკება **ყოველ** დღე **საღამოს** 6—7 **საათამდე.** **მისამართი:** მოსკოვის ქუჩა, № 24. ბინა 1. (თ-128-1)

ექიმი

მ. ი. ვაჩნაძე

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ **დღე,** კვირა-**დღის** გარდა **საღამოს** 5—7 **საათამდე,** ბელინსკის **ქ. № 4.** (თ.—202—9)

ოლიმპიოს ბრ. და სამზეიდრო ქუჩის **კუთხეში,** ფოსტა-ტელეგრაფის **პირ**-

დაპირ გაიხსნა

ახალი აფთიაქი

—პროვიზორის ახალგაზრდა იანისა—

უცხოეთიდან რუსეთში დაბრუნდა

ექიმი

ა. დ. ფაჭაგაზიანცი

ყოფილი ასისტ. ბერლინის **საუნივერსიტეტო** კლინიკისა, **ყოველდღე** ღებულობს **ქალთა** და **საშარდე** სნეულებათა ავადმყოფებს. **საღ.** 5—7 **ს.** ვერის **დამ.,** № 1. **სახ.** მელიქ-**აზარიანცისა,** ტელ. 1—96.

თბილისი, 21 მკათათვე

გონიერი ნაბიჯი.

მოლაშქრეთა გაწვევის ამბავი **ყველას** ელდასავით ეცა **და** გონება **დაუბნია.** საზოგადოებას ხმა გაეკმინდა **და** ქვეყნის **მომავალ** უბედურობას **პასიურად** ზომავდა. ი**ვ**ევ ადგილობრივი **მთავრობის** თაოსნობას **უნდა** უმადლოდეთ **ჩვენი** ქვეყნიდან **მოლაშქრეთა** გაწვევის ვადის **გადადებას.** **მაგრამ** გადის **დრო** და **საზოგადოება** თან **და** თან ერკვევა. **პირველ** **დროის** **დაბნეულობას** იგი **გარკვევით** ხედავს, **თუ** **რა** **განსაცდელი** **მოელის** ქვეყანას, **უკეთუ** **ყველა** **მოლაშქრე** **შეურჩევლად** **ჯარში** **იქნა** **გაწვეული.** **გამოფხიზლებული** **საზოგადოება** **იწ**ყებს **თავის** **გულისნადების** **გამომჟღავ**ნებას **და** **გვამცნებს** **რომ** **რთველის** **გათავების** **შემდეგაც,** **მოლაშქრეთა** **გაწ**ვევა **უნდა** **მოხდეს** **თანდათანობით** **და** **დიდის** **შერჩევით,** **რომ** **ქვეყანა** **ერთბაშად** **წელში** **არ** **მოსწყდეს** **და** **არ** **განადგურდესო.** **სასიამოვნო** **ის** **არის** **რომ** **ამ** **დიდს** **საქმეში** **თაოსნობას** **იჩენენ** **მიყრუებული** **პროვინციის** **პატარა** **და** **შეუმჩნეველი** **მოღვაწენი,** **სწორედ** **ისინი,** **ვინც** **ხალხის** **ჭირ-ვარამთან** **ახლო** **დგას** **და** **ესმის** **მისი** **ყოველი** **ფიქრი** **და** **ზრახვა.** **მაშინ** **როდესაც** **ბრწყინვალედ** **სდუმან** **დეპუტატთა** **საკრებულოები,** **სხვა** **და** **სხვა** **კულტურული** **დაწესებულება** **და** **ამ** **დაწესებულებათა** **კავშირი,** **მაშინ** **როდესაც** **ბეჯითად** **სდუმან** **სამეურნეო** **და** **საქველმოქმედო** **საზოგადოებანი** **და** **ქალაქის** **თვითმართველობანი,** **ზუგდიდის** **პატარა** **წვრილი** **კრედიტის** **ამხანაგობა,** **იწვევს** **საერთო** **კრებაზედ** **მთელი** **ზუგდიდის** **მაზრის** **წვრილი** **კრედიტის** **ამხანაგობებს,** **რათა** **ამ** **კრებამ** **აღძრას** **შუამდგომლობა** **მთავრობის** **წინაშე** **რომ** **წვრილი** **კრედიტის** **გამგეობებს** **ჯარში** **გასაწვევი** **წევრები** **დაუტოვონ.** **საქმის** **გაცნობიდან** **გამორკვეულა,** **რომ** **მთელს** **მაზრაში** **წვრილი** **კრედიტის** **საქმის** **წარმოება** **შეუძლებელი** **იქნება,** **თუ** **რომ** **ამ** **ამხანაგობათა** **გამგეობების** **წევრები** **ჯარში** **გაწვევიდან** **განთავისუფლებული** **არ** **იქმნენ.**

ცნობილია **თუ** **რა** **დიდი** **ამაგი** **დასდო** **წვრილმა** **კრედიტმა** **გაჭირვებულ** **სოფელს** **ამ** **საშინელ** **სიძვირისა** **და** **საზრდოს** **უშოვნელობის** **დროს.**

სოფლის **ხალხი** **უკანასკნელ** **იმედს** **თავის** **გაჭირვებაში** **ამ** **კრედიტზე** **ამყარებს** **და** **რომ** **ათი** **სოფლის** **იქით** **ასეთი** **ამხანაგობა** **ეგულება,** **ეს** **მას** **სიმხნევეს** **მატებს** **და** **სასოწარკვეთილებას** **უნელებს.** **დღეს** **ასეთი** **ამხანაგობანი** **ბევრად** **უფრო** **საჭირონი** **არიან,** **ვიდრე** **ოდესმე** **და** **ასეთ** **გაჭირვების** **დროს** **ხალხს** **რომ** **საშუალება** **მოესპოს** **აშკარა** **უსამართლობა** **იქნება.** **ჩვენ** **იმედი** **გვაქვს** **რომ** **მთავრობა** **ყურად** **იღებს** **ამ** **მოვლენას,** **მაღლობელიც** **დაურჩება** **წვრილი** **კრედიტის** **ამხანაგობათა** **კრებას,** **რომელიც** **ამ** **რიგად** **შველის** **მთავრობას.** **გაიგოს** **ნამდვილი** **ვითარება** **და** **თავის** **მოქმედებაში** **აუცილებელი** **კორექტივი** **და** **ზომიერება** **შეიტანოს** **ქვეყნის** **სასარგებლოდ.**

ზუგდიდის **მაზრის** **წვრილი** **კრედიტების** **კრება** **პირველი** **მაგალითია** **საზოგადოების** **ალაპარაკებისა** **და** **ამოქმედების** **მთელ** **საქართველოში** **მოლაშქრეთა** **გაწვევის** **გამო.** **ისეთი** **გაჭირვება,** **რაგორიც** **ზუგდიდის** **მაზრაშია,** **საქართველოს** **სხვა** **კუთხეებშიაც** **არსებობს.** **საჭიროა** **ყოველგან** **გაიმართოს** **ასეთი** **კრებები** **და** **ყოველგან** **[illegible]** **ნონ.** **წვრილი** **კრედიტის** **ამხანაგობანი** **მეტად** **სასარგებლო** **დაწესებულებანი** **არიან.** **ისინი** **ხალხის** **გამოკვების** **საქმეს** **შველიან** **და** **ხელს** **უწყობენ,** **რაც** **ამავე** **დროს** **ჯარის** **ზურგის** **გამაგრებაა.** **ეს** **ამხანაგობები** **ერთად** **ერთი** **კულტურული** **ორგანიზაციებია** **სოფლებში** **და** **მთავრობაც** **მათ** **უნდა** **დაემყაროს,** **როდესაც** **მოვალეობა** **დააკისრებს** **სოფლელებთან** **მისვლას** **და** **დახმარების** **მიტანას.** **მოსალოდნელი** **არ** **არის** **რომ** **მთავრობამ** **თავისივე** **ყავარჯენი** **გადატეხოს.** **უსაშველო** **არაფერია,** **საჭიროა** **მხოლოდ** **სიფხიზლე,** **ხმის** **ამოღება,** **საფუძვლიანი** **საზოგადოებრივი** **აზრის** **შექმნა,** **რასაც** **ყველა** **ანგარიშს** **გაუწევს.** **ამ** **მხრივ** **ზუგდიდის** **წვრილი** **კრედიტის** **ამხანაგობის** **ნაბიჯი** **საგულისხმოცაა** **და** **მისალოციც.** **საჭიროა** **მას** **მომბაძველები** **გაუჩნდნენ.**

—

გუშინდელ **მეთაურში** **შემდეგი** **შეცდომაა.** **სწერია:** **მან** **მოიგონა** **საშუალება** **აზოტის** **გამოყოფისა** **პურისაგან.** **უნდა** **იყოს** **ჰაერისაგან.**

ომი და ქართველი ხალხის გედი

აგერ **შესრულდა** **ორი** **წელიწადი** **მას** **შემდეგ,** **რაც** **უმაგალითო** **მსოფლიო** **ომმა** **კაცობრიობის** **კულტურული**-**სანი** **ხალხი** **სისხლის** **მორევში** **გაჰბანა.** **ორი** **წელიწადია** **მას** **შემდეგ,** **რაც** **პატარა** **სარაევოში** **ანთებულმა** **ნაპერწკალმა** **ცეცხლის** **ალში** **გაჰხვია** **12** **სახელმწიფოში** **მოსახლე** **ერები** **და** **მათი** **ეკონომიური** **ცხოვრების** **მიმართულება** **ძირიანად** **შესცვალა.** **კულტუროსან** **ქვეყნების** **კულტუროსანმა** **ხალხმა** **თავის** **საკუთარ** **ეროვნულ** **მისწრაფებას** **მტლად** **დაუდო** **მრავალ** **საუკუნოების** **შექმნილი** **ჭკუა-გონების** **ნაღვაწი** **და** **ზარბაზნის** **გრიალით** **ჩაჩუმა** **საერთო** **საკაცობრიო** **იდეალების** **გულმხურვალე** **მქადაგებელნი.** **ევროპაში** **მოსახლე** **ერთა** **მე-19** **ს.** **კულტურამ,** **მეცნიერებამ,** **ლიტერატურამ,** **ფილოსოფიამ** **შეჰქმნა** **საერთო** **საკაცობრიო** **იდეალები** **და** **კოსმოპოლიტურ** **ქადაგებას** **საძირკველი** **ჩაუყარა** **განცალკევებულ** **ერთა** **ნაციონალურს** **ინტერესებს** **დაუპირდაპირეს** **მთელი** **კულტუროსანი** **ქვეყნების** **მშრომელ** **ხალხთა** **საერთო** **ინტერესები** **და** **სახელმწიფოთა** **მომავალი** **პოლიტუკურ-ეკონომიური** **ცხოვრება** **ურთიერთ** **შორის** **ბუნებრივ** **სამართლიანობაზე** **ჰსურადთ** **დაემყარებინათ.** **სოციალურ** **უსამართლობის** **წინააღმდეგ** **მებრძოლთა** **მებაირახტრენი** **მეოცე** **საუკუნეში** **კოსმოპოლიტურ** **დროშას** **აფრიალებდნენ** **და** **ერთა** **სოლიდარობას** **ჰღაღადებდნენ.**

მაგრამ **აი,** **ევროპის** **აღმოსავლეთ** **ჰორიზონტზე** **ზარბაზანმა** **დაიქუხა,** **კოსმოპოლიტური** **დროშა** **ძირს** **დაეშვა** **და** **მის** **მაგიერ** **აღიმართა** **ეროვნული** **დროშა,** **რომელიც** **განცალკევებულ** **ერთ** **თავდაცვისა,** **ნაციონალურ** **მთლიანობის** **და** **მომავალ** **განდიდებისათვის** **საბრძოლველად** **მოუწოდებდა.** **გუშინდელი** **მღაღადებელი** **ერთა** **ძმობისა** **და** **სოლიდარობისა** **დღეს** **საერთო** **ქარ-ცეცხლში** **ხმალ-ამოწვდილი** **გაშმაგებით** **იბრძვის** **თავის** **ერის** **დიად** **მომავლისათვის.** **გუშინდელი** **გულწრფელი** **მოტრფიალე** **ერთა** **გაერთიანებისა,**—**დღეს** **მათ** **განცალკევებას** **და** **შელახულ** **უფლების** **აღდგენას** **ემსახურება.**

ამ **ერთი** **წლის** **განმავლობაში** **უმაგალითო** **სისხლის** **ღვრა** **სჭედავს** **მრავალ** **ერთა** **მომავალს.** **ამ** **მომავლის** **იმედებით** **აღფრთოვანებულნი** **მებრძოლი** **ერნი** **თავგამოდებით** **იცავენ** **თავის** **უფლებებს** **და** **სისხლით** **აპოხირებენ** **საკუთარ** **მიწა-წყალს.**

ქართველ **ერის** **პოლიტიკურმა** **უფლებამ** **და** **დროთა** **ბრუნვით** **შექმნილმა** **გარემოებამ,**-**უნებლიედ** **ჩაითრია** **ქართველი** **ხალხიც** **ამ** **ქარტეხილში** **და** **ერთა** **უფლებების** **აღდგენისა** **და** **განმტკიცებისათვის** **ბრძოლის** **მონაწილე** **გახადა**

თავის **ხანგრძლივ** **ისტორიულ** **მსვლელობაში** **იგი** **დაჩაგრულ** **ერთა** **მოსარჩლედ** **და** **მფარველად** **გამოდიოდა** **და** **მუდამ** **თავისი** **ქვეყნის** **თავისუფლების** **მოტრფიალე,** **სხვა** **ერთა** **[illegible]**

თანამედროვე **ომის** **დაწყებისათანავე** **მებრძოლ** **ერთა** **რაზმებს** **შორის** **ქართველთა** **ხმალიც** **დატრიალდა;** **მრავალი** **ვაჟკაცი** **დაშორდა** **კერას,** **მრავალი** **ძალა** **მოაკლდა** **ქვეყანას,** **რომელიც** **ისედაც** **ეკონომიურად** **დაქვეითებული,** **კიდევ** **უფრო** **გაჭირვებულ** **მდგომარეობაში** **ჩავარდა.**

სოფლის **ხალხის** **უმწეო** **მდგომარეობა,** **რომელიც** **მშვიდობიანობის** **დროსაც** **მეტად** **საგრძნობელი** **იყო,** **დღეს** **ერთი-ორად** **გაბედითდა.** **სიძვირე,** **უვაჟკაცობა,** **ათასი** **ვაი** **და** **ვაგლახი,** **რომელიც** **ამ** **ერთი** **წლის** **განმავლობაში** **თავს** **დაატყდა** **ჩვენ** **ხალხს,** **ცხოვრებასთან** **ბრძოლის** **პირობებს** **მეტად** **უძნელებს.**

ორი **წლის** **სისხლის** **ღვრას** **ჯერ** **ბოლო** **არ** **უჩანს.** **დღე** **მუდამ** **იგი** **ახალ-ახალ** **მსხვერპლს** **ითხოვს** **ჩვენგან,** **არავინ** **იცის** **როდის** **დამთავრდება** **იგი.** **მაგრამ** **ეს** **კი** **ყველასათვის** **ცხადია,** **რომ** **მშვიდობიანობის** **დამყარების** **შემდეგ** **ხალხის** **გაჭირვება** **გაორკეცდება:** **ქვეყანას** **ათასობით** **მოემატება** **მახინჯი** **და** **შრომის** **უნარს** **მოკლებული,** **სულიერად** **და** **ხორციელად** **დაძაბუნებული** **ხალხი,** **მშრომელი** **მუშა** **ხელის** **პროდუქტივობა** **შემცირდება** **და** **მოთხოვნილება** **კი** **აიწევს,** **დღევანდელი** **ცხოვრების** **სიძვირე** **მშვიდობიანობის** **დროს** **უცბად** **არ** **დაიწევს** **და** **კიდევ** **დიდხანს** **გაგრძელდება.** **ყველა** **ეს** **გარემოება** **ჩვენთვის** **მეტად** **ყურადსაღებია** **მით** **უმეტეს,** **რომ** **ჩვენი** **ხალხის** **ბედის** **გამჭედავი** **ისევ** **თვით** **ხალხია,** **ბედნიერებაშიაც** **და** **უბედურობაშიაც** **იგი** **მუდამ** **განცალკევებული** **რჩება** **და** **თავისი** **თავის** **მესაჭე** **ისევ** **თვით** **არის** **ხოლმე.** **ჩვენ** **ბედზე** **ზრუნვა** **სხვას** **არა** **სჩვევია.**

ამიტომ **ნურც** **მომავალში,** **მაშინ** **როდესაც** **ამ** **ძლიერ** **ქარ-ტეხილს** **თავს** **დავახწევთ,** **ნუ** **გვექნება** **იმედი** **სხვისი** **გულშემატკივრობისა** **და** **გულკეთილობისა.** **ეხლავ** **უნდა** **ვიფიქროთ** **მომავალისათვის,** **უნდა** **შევქმნათ** **ისეთი** **ორგანიზაციები,** **რომელნიც** **ჩვენს** **ხალხს** **მომავალში** **გაჭირვებაში** **დაეხმარებიან.** **შევიქმნეთ** **ჩვენვე** **ჩვენი** **მომავლის** **მოჭირნახულენი** **და** **ვიფიქროთ** **ხალხის** **ეკონომიურ** **და** **კულტურულ** **აღორძინებისათვის.**

შალვა ტატიშვილი.

სინოდის პროკურორის ა. ვოლჟინის ჩამოსვლის გამო

პეტროგრადიდან თბილისში ჩამოვიდა სინოდის ობერ-პროკურორი ა. ნ. ვოლჟინი.

როგორც სატახტო გაზეთებში იტყობინებიან ვოლჟინის ჩამოსვლას დიდ მნიშვნელობას აძლევენ უმაღლეს საეკლესიო წრეებში; ამბობენ კიდეც, იგი თვით მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ბ. შტიურმერის სურვილით არის გამოწვეულიო.

ა. ვოლჟინს თან ახლავან ობერ-პროკურორის კანცელარიის დირექტორი ვ. იაცკევიჩი და საგანგებო მოხელე თავ. მიშეცკი.

საზოგადოდ ა. ვოლჟინს მინდობილი აქვს საქართველოს საექსარხოსოს მიმოხილვა.

ამის გარდა თბილისში განზრახულია მოეწყოს განსაკუთრებული თათბირი ქართულ უმაღლეს სამღვდელოებასთან და აქაურ მთავრობის წარმომადგენელთან.

განზრახულია აგრეთვე ა. ვოლჟინის გამგზავრება ტრაპიზონში, რათა გამოირკვეს ტრაპიზონის მართლმადიდებელ ეკლესიის ბედი.

სინოდში ამის შესახებ აზრთა სხვა და სხვაობაა, ზოგი იმის მომხრეა, რომ ტრაპიზონის ეკლესია რუსეთისას შეუერთონ, ზოგს კიდევ მისი დამოუკიდებლობის დაცვა ჰსურს.

ობერ პროკურორის მოსვლა. 19 მკათათვეს თბილისში ჩამოვიდა ობერ პროკურორი ა. ი. ვოლჟინი თვის კანცელარიის დირექტორის ვ. ი. იაცკევიჩთან ერთად.

დუშეთში შეეგება ობერ პროკურორს საგანგებო დეპუტაცია და საქართველოს ექსარხოსის მხრივ მშვიდობიანად მობრძანება მიულოცა.

მცხეთაში ობერ პროკურორმა დაათვალიერა სამთავროს დედათა მონასტერი და სვეტიცხოველი.

გუშინ დაათვალიერა სიონის საკათედრო ტაძარი და სინოდის კანტორა. ნაშუადღევის 2 საათზე მიიღო სამღვდელოება.

დღეს გაემგზავრა ბოდბის მონასტერში.

ქართული საეკლესიო მეჯლის გამო

გაზეთ „საქართველოს“№ 154-ში მოთავსებული წერილი ბ. ს. მგ—ისა. მეტად საგულისხმო და საყურადღებოა ჩვენთვის. ქართველი სამღვდელოება ადრე თუ გვიან საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობას ანუ, როგორც ბერძნულათ იტყვიან, „ავტოკეფალიას“ მოელის და ამ მოლოდინში კი „საავტოკეფალო“ ეკლესიას თანდათანობით და სისტემატიურად ძირი ეთხრება, ეროვნული სული და გული შეუმჩნეველად ეკარება და გადაგვარების გზაზე აყენებენ, რისი ფაქტებიც ხელთა გვაქვს: რამდენათაც მახსოვს 1899—1900 წლებში სამღვდელოებას დაავალეს, რომ ქართული საეკლესიო საბუთები რუსულათ ეწარმოებინათ; ასეთმა ბრძანებამ დიდ მწუხარებაში და საგონებელში ჩააგდო განსაკუთრებით რუსული ენის უცოდინარი ეკლესიის კრებულნი, რომელნიც იძულებულნი ხდებოდნენ დაექირავებიათ გარეშე პირები და გაუგებარ ენაზე ძალა-უნებურათ ეწერინებინათ თავისი ეკლესიის საბუთები... იმერეთში 1900 წელს ახლად დანიშნულმა და ეხლა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა ყოვლადსამღვდელო **ლეონიდმა** სამართლიანი ხმა აღიმაღლა და შეეიწროვებულ სამღვდელოებას მოუპოვა უფლება, რომ ისევ თავისს ღვიძლ ენაზე ეწარმოებიათ საეკლესიო საბუთები. მას შემდეგ განვლო 12 წელმა და 1913 წლის პირველ იანვრიდგან ებრძანა ქართველ სამღვდელოებას, რომ საიდუმლო ნათლისღების შესრულების დროს ისეთი სახელები დაარქვან ბავშვებს, რომელ სახელებსაც აუცილებლათ ეკლესია დღესასწაულობსო და თანაც ამ დღესასწაულობის თვე და რიცხვი უნდა უჩვენონ სახელების ხაზებში. ასეთი განკარგულებით თითქმის მთლათ ისპობა ქართველების ეროვნული და საუკეთესო ისტორიული პირების და გმირების, მეფეების და მწერლების ქართული სახელები. ქართველი მშობლები თავიანთი შვილების მონათვლის დროს თვითონაც სწუხან და ვერც გაუგიათ, თუ რატომ მოუსპეს მამა-პაპური ქართული სახელები და თანაც მოძღვრებს საყვედურში და უსიამოვნებაში აყენებენ; მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ამ გადაგვარების მოვლენას ქართველები და მათი სამღვდელოება ვერ შევხვდით შესაფერისი უარყოფით და ეს განკარგულება დღესაც ძალაშია დარჩენილი. ეხლა დარჩენიათ საეკლესიო ბეჭდების სლავიანურათ გადაკეთება, ვითომ ფოსტა-ტელეგრაფის მოთხოვნილებით, ასეთი გაუგებარი და უსამართლო მოთხოვნილება რაღაცა ეჭვს ჰბადებს. ნათქვამია: „მიზეზ-მიზეზ, დოს მარილი აკლიაო“, ჩემის აზრით, ვფიქრობ, სხვანიც მრავალი დამემოწმებიან, რომ მხოლოდ საეკლესიო ბეჭედზე ამა თუ იმ ეკლესიის ფორმა კი უნდა იყოს რიგიანათ გამოხატული და რომელ ენაზედაც უნდა იყოს წარწერა ბეჭედზე ეკლესიის წმინდანის სახელი, ეს ერთია, არავითარი განსაკუთრებული [illegible] აქვს და არც ცოდვათ და დანაშაულათ ჩაითვლება, რომ ქართულ ეკლესიებს ქართული ბეჭდები ექნესთ, მით უმეტეს, რომ თუ სხვა სარწმუნოების ეკლესიებს თავისი ეროვნული ბეჭდები აქვსთ, ჩვენ რა დავაშავეთ სიკეთისა, ერთგულებისა და თავგანწირვის მეტი.

ეს განკარგულება რომ სისრულეში მოვა, მერე დაგვავალებენ, რომ ქართული ეკლესიის გეგმა და მხატვრობა არ მოგვწონს და მოსპევით, უცხო გეგმა და მხატვრობა შემოიღეთო და ბოლოს ენასაც ძირში ამოგვაგლეჯენ და გვეტყვიან, რადგანაც ეკლესიური საბუთები, ბეჭდები, ქართველური სახელები, ეკლესიის გეგმები და მხატვრობაც ქართველური აღარ ყოფილა, ნუღარც წირვა-ლოცვა და ღვთის მსახურება გექნებათ ქართულათო და ამ ნაირათ ფრთა შეკვეცილს და გადაგვარებულ ეკლესიას, რომელსაც თავისი ეროვნული ნიშან-წყალი აღარ ექნება და თავისი ეროვნული გემო, ხასიათი და ელფერი დაეკარგება, ავტოკეფალია ან-კი რაღათ უნდა?!.. ასეთ გამწვავებულ შემთხვევაში ერი მღვდელს მიჩერებია და მისი იმედი აქვს, მღვდელი კი ერს ჰჩერებია **და** ერთი მეორის იმედით კი საქმე ფუჭდება, ხშირად ორი დაუდევარი ძიძის მიუხედაობით ძუძუ მწოვარი ბავშვი სულს ღაფავს და ბოლოს უპატრონოთ კვდება. ასე ემართება ჩვენ უპატრონო ეკლესიასაც... ბატონებო! სანამ რკინა ცხელია, გამოვჭედოთ, თორემ გაცივდება და ვეღარ გამოვჭედავთ. დროს ნუ ვკარგავთ, ხელი ხელს ჩაკიდებული ქართველი სამღვდელოება და საერო წოდება საერთო ძალით და გამბედაობით ვეცადოთ, ხმა ამოვიღოთ და ჩვენი ეკლესიის სიფაქიზე, თავმოყვარეობა და ეროვნება დავიცვათ და ნუ დავჩაგრავთ ჩვენი სისუსტით და დაუდევრობით, თორემ საუკუნო და საშვილიშვილო წყევა და კრულვა, ცოდვა, სირცხვილი და მოუბანელი ჩირქი მოგველის ქართველი მომავალი თაობისაგან და გვიანღა იქნება სინანული და თითებზე კბენა...

ბესარიონ ჭიათურელი.

ომის ამბები

ბრძოლის ველზე

გუშინდელი მთავარ შტაბის ოფიციალი დეპეშა სავსებით ადასტურებს წარსულ ნომერში ჩვენ მიერ გამოთქმულ აზრს. ჩვენ ვსწერდით: „მდ. სტოხოდზე გერმანელებმა საშინელი საარტილერიო ცეცხლი გააჩაღესო. ეს ყოველთვის წინამორბედია მედგარი იერიშებისა. ადვილად შესაძლებელია გერმანელებმა ჯარი მოიშველონ და რუსები არა გზით წინ აღარ გაუშვან“. ოფიციალი ცნობა გვამცნობს: „სოფელ სტობიხვის და სმოლიარის მიდამოებში გერმანელებმა გაშმაგებული იერიში მოიტანეს ჩვენს ჯარზე, რომელიც გამაგრებულია მდ. სტოხოდის მარცხენა ნაპირზედ. ბრძოლა გრძელდება“. თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მდ. სტოხოდს კოველის და ვოლინის მიდამოებში გაჩაღებულ ბრძოლას, ეს მკითხველებისათვის არა ერთხელ გაგვიმარტავს. ყოვლად შეუძლებელი გახდება გალიციის დაპყრობა, თუ ეს ორი მთავარი შემაერთებელი პუნქტი რუსის მხედრობამ ხელთ არ იგდო. ამითი, გარდა იმისა, რომ თითქმის ერთმანეთს გააშორებს ავსტრიელებს და გერმანელებს, რუსეთის შტაბი ბრუსილოვის არმიას უზრუნველჰყოფს ყოველგვარ განსაცდელისაგან და გალიციას სრულიად დამოუკიდებელ სამოქმედო [illegible] ... მოსაზრება აიძულებს გერმანელებს მეტი ყურადღება მიაქციონ მდ. სტოხოდს.

დანარჩენ ადგილებიდან ცნობები არ მოსულა, რაც სრულებით იმას არ მოასწავებს ვითომც ბრძოლა დასცხრა ან და ადგილობრივი ხასიათი მიიღო. თუ საერთოდ თვალს გადავავლებთ რუსეთის მიერ დაწყებულ იერიშებს უკანასკნელ დროს, დავინახავთ, რომ მთავარი ოპერაციები განსაზღვრულ ადგილებში სწარმოებს და არა საერთოთ მთელ ბრძოლის ხაზზე. სწორედ ამით განირჩევა გენ. ბრუსილოვის ტაქტიკა თავისი წინამოადგილეების ტაქტიკისაგან. თუ წინეთ რუსეთის სამხედრო შტაბი საერთოდ მთელ ბრძოლის ხაზით იწყებდა ხოლმე შეტევას, ახლა ბრუსილოვი დრო გამოშვებით, თითქოს სვენებ-სვენებით, რომელიმე საყურადღებო ადგილის წინააღმდეგ იწყობს შეტევას. მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც აქ გამარჯვებით ამთავრებს ბრძოლას, სხვა ადგილას გადააქვს მოქმედება. ასეთი ტაქტიკა მტერს ყოველგვარ საშუალებას უსპობს ჯარები სათანადოდ გაანაწილოს და მიაშველოს იქ, საცა იგი აუცილებლივ საჭიროა. ბრუსილოვის არმია ახლაც თითქოს გაჩერებული სდგას. უეჭველია ეს მხოლოდ დროებითი ტაქტიკური მოვლენაა. დამთავრდება თუ არა მდ. სტოხოდზე დაწყებული ბრძოლა, გენ. ბრუსილოვის რომელიმე არმიაც ამოქმედდება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სწორედ კოლედინელის ამ ბრძოლის შედეგს. მისი არმიის მარჯვენა ფრთისთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს მდ. სტოხოდის დაპყრობა და ამ ადგილებიდან გერმანელების განდევნა. მაშინ შეეძლება კოველის სიმაგრეებზე იერიშის მიტანა და უფრო ფართედ ოპერაციის წარმოება.

ლონდონიდან გადმოცემული გუშინდელი ოფიციალი დეპეშა ფრიად საგულისხმო ამბავს გვამცნობს. მრავალ რიცხოვანი გერმანელების ესკადრა ცეპელინებისა თავს დასხმია ინგლისს და მრავალ ადგილებისთვის უყმბარები დაუშენია. დეპეშა გვატყობინებს, [illegible] ინგლისელებს ვერას გზით ვერ მოუშორებიათ თავიდან ცეპელინები და ისინი თამამად განაგრძობენ ნავარდობას ინგლისზედ. კარგა ხანია გერმანელებს ასეთი გაბედული იერიში ცეპელინებით აღარ მიუტანიათ. ეტყობა ისინი ამ დროის განმავლობაში უფრო მეტად მომზადებულან და ახლა ფართედ დაუწყვიათ ამ არა ჩვეულებრივ ოპერაციის წარმოება.

თვითონ ის ცნობა, რომ „ცეპელინების თავდასხმა გრძელდებაო“ არა ჩვეულებრივია, რადგან აქნობამდის ამ თავდასხმას ყაჩაღური, უფრო კი ქურდული ხასიათი ჰქონდა. საკმარისი იყო ინგლისელებს სროლა აეტეხათ ცეპელინებისთვის, რომ მათ პირი ებრუნათ და მიმალულიყვნენ. ახლა კი ინგლისელებს ეტყობა ეშინიან ამ ცეპელინებისა. ეტყობა ინგლისელებს

ხველებს. მხოლოდ ერთი რამ არის ცხადი გერმანელთათვის; სახელდობრ ის, რომ რუმინეთის ომში ჩარევა დამყარებულია მებრძოლ სახელმწიფოთა ძალთა განწყობილებაზე: საითაც გადიხრება ომის ბედი იქითკენ გადიწევს რუმინეთის სამხედრო ძალაც.

დიდი ბრძოლა პოზიერთან.

პარიზიდან ცნობები მოდის პოზიერთან ამტყდარ სასტიკ ბრძოლის შესახებ. გერმანელები დიდს წინააღმდეგობას უწევენ ფრანგებს და არავითარ მსხვერპლს არ ერიდებიან, რომ ეს სიმაგრენი როგორმე შეინარჩუნონ. ეს სასტიკი დაცვა პოზიერის სიმაგრეებისა იმით აიხსნება, რომ მას დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს: პოზიერი მდებარეობს მთის მწვერვალზე, რომელიც საარტილერიო ბრძოლისათვის მეტად ხელსაყრელ ადგილს წარმოადგენს.

საარტილერიო ბრძოლის შემდეგ ლოდდონის ქვეითა ჯარი და კანადის გრენადერები იერიშით ეკვეთნენ მტერს და ამ სიმაგრის სამხრეთი ნაწილი ხელში ჩაიგდეს. ინგლისელებმა ყოველი ძალღონე იხმარეს რომ დაებრუნებინათ, ხელჩართულ ბრძოლაშიაც კი ჩაებნენ, მაგრამ მდგომარეობა ვერ შესცვალეს. მხოლოდ როცა მათ ავსტრალიის მაშველი ჯარი მოუვიდათ გერმანელები იძულებულნი იყვნენ მიეტოვებინათ პოზიერი და უკან დაეხიათ.

გერმანეთის განთქმულ მფრინავის დაღუპვა.

გერმანელების განთქმული მფრინავი პარშაუ, რომელმაც ამ ომში დიდი სახელი მოიხვეჭა და რომელსაც იმპერატორმა ვილჰელმმა პირადად უბოძა უდიდესი ჯილდო ამ რამდენიმე დღის წინად გენ. ჰინდენბურგის ბრძოლის ასპარეზზე მომხდარ ბრძოლაში დაღუპა.

გერმანელების კვეხნა.

ბუდაპეშტში მყოფ გერმანეთის ელჩს ფონ-ბუშს რუმინთა უმაღლეს წრეებში განუცხადებია, რომ თუ რუმინეთი გერმანეთის წინააღმდეგ გაილაშქრებს იგი ძალიან ინანებს, რადგან კარპატებში რუმინეთის ჯარის გერმანელებს შეეხეჩებაო. როგორც ამბობენ ამ მუქარას დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია რუმინიელებზე.

ოსმალეთის მცირე აზიის ჯარი.

მცირე აზიაში მყოფ ოსმალთა ჯარ ბრძანება მიეცა საჩქაროთ კავკასიის ასპარეზისაკენ გაემართოს.

ხელშეკრულება რუმინეთსა და მოკავშირეთა შორის.

„ნოვოე ვრემია“-ს ბუქარესტიდან ატყობინებენ, რომ რუმინეთსა და მოკავშირე სახელმწიფოთ ხელშეკრულება დაუდვიათ. ხელშეკრულების ძალით რუმინეთი მოვალეა 1 მარიამობისთვემდის მთელი თავისი ძალების მობილიზაცია მოახდინოს. მხოლოდ იგი ომს არავის არ გამოუცხადებს. მობილიზაციის დანიშნულებას საკუთარ საზღვრების და ინტერესების დაცვა შეადგენს. რუმინეთი მოვალეა რუსეთის სამხედრო მოქმედებას ხელი არ შეუშალოს და 1913 წლის ტრაქტატის აღდგენას ხელი შეუწყოს. რადგან რუმინეთს ომში ჩასარევად და ტრაქტატის აღსადგენად საკუთარი საკმაო ძალა არ შესწევს, მას მზად უნდა ჰყავდეს თავისი ჯარი, რომელიც ჯერ-ჯერობით ომის აქტიური მონაწილე არ გახდება.

ქ. ბროდის აღება.

ქ. ბროდის აღებით რუსის ჯარს, რომელსაც გენ. სახაროვი მეთაურობს, ტარნოპოლის მხრით დაბანაკებულ ავსტრო-გერმანელების ჯარისაკენ გზა გაეკაფა. მტერი იძულებულია ეხლა ჩრდილოეთისკენ დაიხიოს და ტარნოპოლისკენ მიმავალი გზები გაამაგროს. მოპირდაპირე დიდი სისწრაფით ემზადება და მდ. სტოხოდზე მდებარე სოფლებს სცლის.

გერმანელების წყალქვეშა ნავი.

გერმანელების წყალ-ქვეშა ნავი, რომელმაც ამერიკის ნაპირები მიატოვა და გერმანეთისკენ გამოემგზავრა, ნორვოლდის ნაპირებს მიუახლოვდა. აქ ინგლისელების და ფრანგების შეერთებული ფლოტი გაფაციცებით ადევნებს მას თვალ-ყურს და სცდილობს როგორმე გზა მოუჭრას. ნავის კაპიტანი დარწმუნებულია, რომ იგი მშვიდობით მიაღწევს გერმანეთის ნაპირებს.

სერბეთის ჯარი ბრძოლას წყებს.

სალონიკიდან იტყობინებიან, რომ სერბეთის ჯარმა სამხედრო მოქმედება დაიწყო და ბულგარეთის ჯარის წინააღმდეგ ოპერაციები განაახლა. რამოდენიმე ალაგას სერბებს კიდევაც აუღიათ ბულგარელების სიმაგრენი და სცდილობენ მათ როგორმე მაკედონეთის მიწა-წყალი მიატოვებინონ.

დეპეშები

(პეტროგრადის დეპ. სააგენტოსაგან)

რუსეთის ასპარეზზე: მდ. სტოხოდზე ბრძოლა მწვავე ხასიათს იღებს. კოველის და ლუცკის მიმართულებით რუსებმა მტრის კონტრ-იერიშები მოიგერიეს. **რუსები** მდ. ტეროპეცს გაღმა გავიდნენ და მტერს იერიშით ეკვეთნენ. აქ **რუსებმა 1000 ავსტრო-გერმანელი ტყვედ** წამოიყვანეს.

—

კავკასიის ასპარეზზე: სივასისა და მოსულის მიმართულებით **რუსის ჯარი წინ იწევს.**

—

ინგლისის ასპარეზზე: გერმანელების „ცეპელინების“ რაზმები ინგლისის მიდამოებს თავს დაესხა. მფრინავები მრავალ ქალაქს ყუმბარებს უშენენ. „ცეპელინების“ თავდასხმა **არ შეწყვეტილა.** დაწვრილებითი ცნობები **ჯერ არ მოსულა.**

უკანასკნელი დეპეშები

რუმინეთის მოსაზღვრე ავსტრიელების სოფლებიდან ხალხი იხიზნება.

—

სალონიკის ასპარეზზე ზარბაზნის გრგვინვა ისმის. ინგლისურ გაზეთების აზრით, იქ მოკავშირეებმ შეტევა უკვე დაიწყეს.

—

რუმინეთმა ქ. იასაში 30 ვაგონი სასროლი მასალა მიიღო, რომელიც ინგლის-საფრანგეთ-ამერიკაში ჰქონდა **შეკვეთილი.** ეს მასალა უნგენის გზით მოსულა. უნგენში კიდევ მოელიან 30 ვაგონს სასროლ მასალას.

—

იტალიის ასპარეზიდან ავსტრიელებმა გალიციის ასპარეზზე გადმოიყვანეს **35-ტე** და **36-ტე** გვარდიის პოლკი, 59-ტე და 61-ე ქვეითა პოლკი, მე-9 საარტილერიო პოლკი და ტყვიისმფრქვეველთა 4 როტა.

—

ავსტრიის საელჩომ რუმინეთის მთავრობას **დახმარება** სთხოვა იმ 1100 ვაგონ საქონლის ჰუნგრეთში დასაბრუნებლად, რომლებიც სწრაფად გადაიტანეს **რუმინეთში,** როდესაც **რუსები** ბუკოვინაში შეიჭრნენ. ზოგი ვაგონი სამხედრო მასალით არის დატვირთული. **რუმინეთის** მთავრობამ ამ შუამდგომლობის ერთი ნაწილი დააკმაყოფილა და ნება დართო 300 ვაგონი ხორბალი გაეტანათ.

—

თეირანის ირგვლივ დაბანაკებულია 12 ათასი სპარსელი მეომარი. ისპაანში **რუსის ჯარმა** ბახტიარების **რაზმი** გაჰფანტა.

—

რუმინეთის მეფემ ბრატიანუს **უბრძანა,** მოიწვიოს **სამეფო** საბჭო მიმდინარე **საკითხთა** და **რუმინეთის** პოლიტიკის **გამოსარკვევად.** თათბირზე **მიწვეულნი** არიან **ყველა** პოლიტიკურ **პარტიის** წარმომადგენელნი. **რუმინეთში** დარწმუნებულნი არიან, **რომ** ომი **ჯერ** კიდევ **დიდხანს** გასტანს.

რუმინეთი ელის **იმ** დროს, **როცა** რუსეთი **კარპატებში** შეიჭრება.

—

ვილჰელმმა **რუმინეთის** მეფეს **პირადად** წერილი **გაუგზავნა;** **გერმანეთის** დიპლომატია **არწმუნებს** **რუმინეთს** **თავი** **შეიკავოს** **და** **ომში** **არ** **ჩაერიოს.** ვილჰელმი ჰპირდება **სამს** **კვირაში** **რუსების** **იერიშს** **კარპატებში** **შევაჩერებო.**

—

ბერლინიდან იტყობინებიან: **გარეშე** **საქმეთა** **სამინისტროში** **გაფაციცებით** **მუშაობა** **სწარმოებს.** **დიპლომატებს** **ღღე** **და** **ღამ** **მოსვენება** **არა** **აქვთ.** **ბუქარესტის** **და** **ვენის** **შუა** **ტელეგრაფი** **განუწყვეტლივ** **მუშაობს.** **ბუქარესტიდან** **მოსული** **დეპეშები** **პირდაპირ** **კაიზერთან** **მიაქვთ.**

კანცლერი **დაბრუნდა** **მეფის** **ბანაკიდან** **და** **ფერდინანდს** **კაიზერის** **წერილი** **მოართვა.** **მდგომარეობა** **სერიოზულია,** **მაგრამ** **არა** **კრიტიკული.** **რევენტლოვი** **„ტაგეს** **ცაიტუნგში“** **ამბობს,** **ყოველგვარი** **ცდა** **დიპლომატებისა** **ამაო** **იქნება.** **ასეთს** **პირობებში** **რუმინეთს** **ვერ** **დაითათბირებენო.**

—

ბულგარეთი **აჩქარებით** **ამაგრებს** **თავის** **საზღვრებს** **დობრუჯიდან** **დაწყებული** **ვიდრე** **ზღვის** **ნაპირიდან** **დუნაიამდე.** **რუშჩუკს,** **მუმლას** **და** **ვარნას** **მძიმე** **ზარბაზნებით** **ამაგრებენ.** **ზღვის** **ნაპირების** **დაცვა** **გერმანელებს** **მიანდვეს.** **ეს** **ზომები** **მიღებულია** **იმ** **გარემოებით,** **რომ** **შავის** **ზღვისა** **და** **დობრუჯის** **მხრიდან** **მოულოდნელ** **თავდასხმისა** **ეფიქრებათო.**

—

„ინვალიდის“ ცნობით, **ოსმალებს** **ორი** **დღით** **ადრე** **დაუტოვებიათ** **ერზინჯანი,** **რომელიც** **მერე** **რუსის** **ჯარმა** **დაიჭირა.**

რევანდუზ-მოსულის **მიმართულებით** **ხალილ-ფაშამ** **შემოუტია.** **გენერალ** **ჩ—ს** **ჯარი** **იძულებული** **იყო** **მეორე** **გამაგრებულ** **ხაზზე** **გადმოსულიყო.** **აქ** **მედგარი** **ბრძოლაა.**

—

ჰუნგრეთში **სწრაფად** **აგებენ** **ციხესიმაგრეებს** **ბახნის** **მთიდან** **დაწყებული** **კინენამდე.**

რუმინეთიდან **მიმავალ** **სანაპიროებში** **ნაღმები** **ჩააწყვეს.**

ტეპლერში 13 **ვაგონი** **ასაფეთქებელი** **მასალა** **მოიტანეს.**

ყარანშებერისა **და** **ლუგოშას** **გარშემო** **სიმაგრეების** **აგებას** **განაგრძობენ.** **აქ** **ავსტრიელები** **ამუშავებენ** 12 **ათას** **ტყვე** **სერბიელს.**

—

ავსტრიელებს **ახალი** **რკინის** **გზა** **გაჰყავთ** **ბელგრად-ლაიკოვაც-ვალეფოს** **ხაზით.** **ამ** **გზაზე** **ამუშავებენ** **ავსტრია-გერმანიიდან** **გადმოყვანილ** 320 **ათას** **ტყვეს.**

—

ჰოლანდიის **გაზეთებში** **ცნობაა,** **ჰოლანდიის** **სანაპიროებთან** **მებადურებს** **შეუმჩევიათ** **გერმანეთის** **ფლოტი,** **რომელსაც** **ინგლისის** **სანაპიროებისაკენ** **მიემართებოდა.**

—

გერმანეთი 100 **ახალ** **წყალქვეშას** **აშენებს** „**მრემენ**“-**ის** **ტიპისას,** **რომელთა** **საშუალებით** **ჰსურს** **სავაჭრო** **ნავოსნობა** **აწარმოოს** **გერმანეთ-ამერიკის** **შუა.**

—

პერემიშლიდან **იტყობინებიან:** **ორი** **კვირის** **წინად** **პერემიშლიდან** **გაიყვანეს** **დაჭრილები** **და** **ძვირფასეულობაც** **გაზიდეს.** **ქუჩებში** **გამოკრულია** **მოწოდება:** **ვისაც** **სურსათი** **არა** **აქვს,** **ქალაქიდან** **გაიხიზნეთო.**

—

გერმანული **გაზეთები** **სწერენ:** **რუმინეთთან** **ეკონომიური** **შეთანხმების** **იმედი** **აღარ** **უნდა** **ვიქონიოთ,** **რადგანაც** **ეხლა** **იქ** **რუსეთის** **დიპლომატია** **იმარჯვებსო.**

რუსეთი

სინოდის **მთავარი** **წევრი** **მიტროპოლიტი** **ვლადიმერი** **გაემგზავრა** **კიევში,** **სადაც** **დაჰყოფს** **ზაფხულის** **ბოლომდის.** **მანამდის** **მთავარი** **წევრობა** **ე** **უთვნის** **პეტროგრადის** **მიტროპოლიტს** **პიტირიმს.**

—

პეტროგრადის **გაზეთს** „**რეჩს**“, **მოყავს** **რა** **თბილისის** **ქალაქის** **თავისაგან** **დამტკიცებული** **ნიხრი** **საქონელსურსათისა,** **დაასკვნის,** **რომ** **ფასები** **ძალიან** **ზომიერია,** **მაგრამ** **დავიწყებიათ** **საქონლის** **გაზიდვა** **ქალაქს** **გარედო.**

—

პეტროგრადიდან **იტყობინებიან,** **რომ** **ვაჭრობის** **სამინისტროს** **წარუდგენია** **მინისტრთა** **საბჭოში** **დასამტკიცებლად** **წესდება** **იოსებ** **დადიანისა** „**ლიტო-კავკასიური** **ნავთის** **სამრეწველო** **და** **სავაჭრო** **საზოგადოებისა**“ **ერთი** **მილიონის** **თანხით.**

—

პეტროგრადის **წრეებში** **მითქმა-მოთქმას** **იწვევს** **ის** **გარემოება** **რომ** **დაბრუნდა** **თუ** **არა** **შტიურმერი** **მეფის** **ბანაკიდან,** **ინგლისის** **ელჩი** **ბიუკენენი** **მაშინვე** **გაემგზავრა** **ფინლიანდიაში** **იქ** **მყოფ** **საზონოვის** **სანახავათ.**

—

მთავრობის **წრეებში** **იმ** **აზრს** **გაუმარჯვია** **რომ** **პოლონეთის** **საკითხის** **გარდაწყვეტა** **უნდა** **გადიდოს** **კიდევ** **რამოდენიმე** **ხნით.**

—

„**მთავარ** **ანგელოზ** **მიხაილის**“ **განყოფილებებმა** **მინისტრთა** **საბჭოს** **თავმჯდომარეს** **და** **მის** **წევრებს** **პოლონეთის** **საკითხის** **შესახებ** **თავიანთ** **კრებებზე** **გამოტანილი** **დადგენილებანი** **გაუგზავნეს.** **ამ** **დადგენილებებში** „**შავრაზმელები**“ **მოითხოვენ** **პოლონეთის** **საკითხის** **აჩქარებით** **გადაწყვეტა** **შეუწყნარებელი** **იქნებაო.** **მეორეც** **დიდს** **საშიშროებას** **წარმოადგენს** **ის** **გარემოებაც,** **რომ** **პოლონელების** **მაგვარ** **მოთხოვნილებებს** **რუსეთში** **მოსახლე** **სხვა** **ერებიც** **წარმოადგენენ.** **ამიტომ,** **აუცილებელია,** **პოლონეთის** **საკითხის** **გარდაწყვეტა** **გადაიდოს** **ომის** **გათავებამდე.** **ამასთანავე** **შავრაზმელნი** **შუამდგომლობენ** **მოწვეულ** **იქმნას** **მონარქისტები** **პოლონეთის** **საკითხის** **გადასაწყვეტად.**

—

მთავრობას 246 **მილიონი** **მანათი** **გადაუდვია** **ჯარში** **გაწვეულთა** **ოჯახების** **დასახმარებლად.**

თურქეთის პრესა

გაზეთი „**აჩიკ-სოზ**“-**ი** **სპარსეთის** **მდგომარეობის** **შესახებ** **სწერს:**

სპარსეთი **კვლავ** **ბრძოლის** **ასპარეზად** **გადაიქცა** **და** **კვლავ** **მიიქცია** **ფართე** **საზოგადოების** **ყურადღება.**

დაინტერესებულ **საზოგადოებას** **ორი** **რამ** **აინტერესებს:** **პირველი,** **თუ** **რა** **განზრახვა** **აქვთ** **ქერმანშაჰის** **რაიონის** **სამხრეთში** **შეჭრილ** **თურქების** **ჯარს,** **მეორე—თუ** **როგორ** **შეხვდება** **სპარსეთის** **მთავრობა** **შემოსულ** **თურქებს.** **გამოირკვა,** **რომ** **სპარსეთის** **ზოგიერთ** **პროვინციებში** **ადგილობრივი** **მკვიდრები** **მოითხოვენ,** **რომ** **მმართველი** **პირები** **ბეხთიარებიდან** **იქმნან** **არჩეულნი.** **წამოაყენეს** **სხვა** **წინადადებაც,** **რომელიც** **მოწმობს** **ამ** **მკვიდრების** **მიდრეკილებას** **ოსმალეთისკენ.** **მთავარი** **შტაბის** **დეპეშიდანაც** **სჩანს,** **რომ** **ისფაჰანის** **მახლობელ** **ადგილებში,** **რუსებისთვის** **დიდი** **წინააღმდეგობა** **გაუწევია,** **სპარსეთის** **მომთა-ბარე** **ხალხს** **და** **რუსეთის** **ერთი** **დიდი** **რაზმიც** **გაუნადგურებია.** **ყველა** **ეს** **ამბავი,** **რომელიც** **გამოწვეულია** **თურქების** **წინ** **წამოწევით,** **მოწმობს** **სპარსეთის** **შიდა** **ქვეყნებისა** **და** **სამხრეთის** **ნაწილის** **მტრულ** **განწყობილებას** **მოკავშირეთა** **წინააღმდეგ.**

მაგრამ **ამავე** **დროს** **დეპეშებიდან** **ვიცით** **რომ** **სპარსეთის** **დიდმა** **ვეზირმა,** **სიფეხდარმა** **სპარსეთის** **სხვა** **და** **სხვა** **პროვინციის** **წარმომადგენლებს** **ბრძანება** **დაუგზავნა,** **თურქების** **მიერ** **მოტანილ** **იერიშს** **გაუმკლავდითო.** **იმავე** **დროს,** **სპარსეთის** **გარეშე** **საქმეთა** **მინისტრმა,** **ექშერ-მირზამ,** **ოსმალეთის** **საელჩოს** **დრაგომანს** **შეატყობინა,** **თურქების** **ჯარის** **მოძრაობა** **შიდა** **სპარსეთისკენ,** **სპარსეთის** **საწინააღმდეგოდ** **არის** **მიმართული** **და** **თუ** **იგი** **შეჩერებული** **არ** **იქმნა,** **სპარსეთ-ოსმალეთის** **პოლიტიკური** **ურთიერთობა** **შესწყდებაო.** **ექშერ-მირზას** **ეს** **სიტყვები** **ნამდვილი** **მუქარაა.**

ამ **სახით,** **სპარსეთის** **დღევანდელი** **მდგომარეობა** **ასეთია:** **ოფიციალი** **მთავრობა** **მოკავშირეების** **მომხრეობას** **ადგია** **და** **ცდილობს** **შეაჩეროს** **თურქების** **ჯარის** **მოძრაობა** **შიდა** **სპარსეთისაკენ.** **საზოგადოება** **კი** **თავის** **სიმპატიებს** **ოსმალეთს** **უცხადებს** **და** **რუსინგლისის** **წინააღმდეგ** **მტრულად** **მოქმედობს.**

ჰიათურის შავი ქვის გამო

დეპეშა ქუთაისიდან

(**საგანგებო** **კორესპონდენტისაგან**)

შავი **ქვის** **მრეწველთა** **საბჭოს** **ნება** **დართეს** **წარმომადგენლები** **იყოლიოს** **ჰიათურის** **გერმანულ** **წარმოებათა** **სალიკვიდაციო** **კომისიაში.**

საბჭომ **დანიშნა** **თავის** **მხრივ** **გიორგი** **ზდანოვიჩი** **და** **თავ.** **კიტა** **აბაშიძე.**

გ. **ზდანოვიჩის** **ავადმყოფობის** **გამო** **ჯერ-ხნობით** **სალიკვიდაციო** **კომისიის** **მუშაობაში** **მონაწილეობს** **მხოლოდ** **თავ.** **კიტა** **აბაშიძე.**

ახალი ამბავი

✦ **გუბერნატორების** **ყრილობა.** **გუშინ** **მეფის** **ნაცვლის** **სამოქალაქო** **ნაწილის** **თანაშემწის** **თ-დ** **ორლოვის** **თავმჯდომარეობით** **დაიწყო** **ყრილობა** **კავკასიის** **გუბერნატორებისა** **და** **ოლქის** **უფროსთა,** **სასურსათო** **საკითხის** **შესახებ.**

✦ **ქალაქის** **სახლის** (**გოლოვინის** **პრ.** **კრუფოკის** **ბინისა**) **დუქნების** **შენობების** **საჯარო** **ვაჭრობა** **რომელიც** 19 **მკათათვეს** **იყო** **დანიშნული** **არ** **შედგა.**

✦ **ქართულ** **ბეჭდების** **მოსპობა.** **თანახმად** **უწმ.** **სინოდის** **განკარგულებისა,** **რომელიც** **უკვე** **მიიღო** **სასინოდო** **კანტორამ,** **ქართული** **ბეჭდები** **უნდა** **გაუქმებულ** **იქმნეს** **ამ** **წლის** **გასვლამდის.**

✦ **გადმოსახლებულთა** **ადგილებში** **უწმ.** **სინოდი** **საქართველოს** **საეკლესიოსში** **ხუთ** **ალაგას** **გახსნის** **ახალ** **სამრევლოებს.**

✦ **თავმჯდომარის** **არჩევა.** **ქალაქის** **საბჭოს** **სარევიზიო** **კომისიის** **თავმჯდომარედ** **არჩეულ** **იქმნა** **ხმ.** **ხუნუნცი.**

✦ „**დედა-ენის**“ **შესწორება.** **წერა-კითხვის** **საზოგადოების** **სასკოლო** **სექცია** **სთხოვს** **საზოგადოების** **მასწავლებლებს** **დააჩქარონ** **თავიანთ** **შენიშვნებისა** **და** **მასალების** **გამოგზავნა** „**დედა-ენის**“ **მეორე** **ნაწილის** **შესწორების** **შესახებ.**

✦ **სურსათი.** **ქართულ** **საქველმოქმედო** **საზოგადოებას** **მოუვიდა** 30 **ვაგონი** **ფქვილი** **გულევის** **ფირმიდან** **სოფლის** **ხალხის** **საჭიროებისათვის.**

✦ **წერა-კითხვის** **გამავრცელებელ** **საზოგადოებას** 1 **ივლისიდან** **სურდება** **მასწავლებლები** **შემდეგი** **სოფლებისათვის:** **ბასბუნარსა** (**ქსანი**), **ბერაქვისა** (**ბორჩალო**), **თასმალისა** (**საინგილო**), **ყალამშისა** (**ბორჩალო**), **გუდაუთისა** (**აფხაზეთი**) **და** **მოიდანახესათვის** (**ზუგდიდის** **მაზრა**). **თვიური** **ჯამაგირი** 54 **მან.** **მსურველებმა** **თხოვნით** **უნდა** **მიმართონ** **წერა-კითხვის** **კანცელარიას** 1 **მარიამობისთვემდე.**

✦ **თავშესაფრის** **დაარსება.** **ქართული** **საქველმოქმედო** **საზოგადოების** **მთავარი** **გამგეობა** **აპირებს** **გახსნას** **სოხუმში** **თავშესაფარი** **ომიანობისაგან** **დაზარალებულთა** **შვილებისათვის** **და** **გადმოხვეწილთათვის.** **თავშესაფარში** **წერა-კითხვის** **სკოლაც** **გაიმართება.** **ეს** **მეოთხე** **თავშესაფარია** **აღნიშნულ** **საზოგადოებისა;** **პირველი** **სამი** **მოწყობილია** **ბათომსა,** **ახალციხსა** **და** **უდეში** (**ახალციხის** **მაზრა**).

✦ **ფეხსაცმელების** **ნიხრი.** **დღეიდან** **ყველა** **მაღაზია** **ვალდებულია** **ფეხსაცმელები** **გაჰყიდოს** **მთავრობის** **მიერ** **დაწესებულ** **ნიხრით.** **ასეთი** **ნიხრი** **გაკრული** **უნდა** **იყვეს** **ყველა** **მაღაზიაში** **თვალსაჩინო** **ადგილას.** **აღნიშნულ** **ნიხრის** **მიხედვით** **მოზდილთათვის** **ჩექმები** **უნდა** **გაიყიდოს** 17—23 **მან.,** **ბავშვებისათვის** 16—26 **მანეთი;** **ბაშმაკები** **მოზრდილთათვის** 10—23 **მან.,** **ბავშვებისათვის** 9—20 **მან.,** **ტუფლები** **დიდებისათვის** 9—21 **მან.,** **ბავშვებისათვის** 8—18 **მ.** 50 **კ.**

✦ **საცდელი** **და** **საჩვენებელი** **მინდორი.** **ბ-ნს** **ფრიდონოვს** **გადაუწყვეტია** **მოაწყოს** **თავისი** **ხარჯით** **თავისს** **მამულში** **ს.** **თოხლიაურში** **საცდელი** **და** **საჩვენებელი** **მინდორი.** **რჩევა-დარიგების** **მისაღებად** **ბ-ნ** **ფრიდონოვს** **მცოდნე** **კაცებიც** **მიუწვეივა** **მამულში.**

✦ **საჭიროა** **მასწავლებელი.** **თელავის** **გიმნაზიის** **და** **წმ.** **ნინოს** **სასწავლებლისთვის** **საჭიროა** **ქართული** **ენის** **მასწავლებელი,** **რომელსაც** **მიეცემა** **გიმნაზიაში** 16 **გაკვეთილისათვის** 500 **მან.,** **იქვე** **კლასის** **დამრიგებელი** **თანაშემწის** **მოვალეობის** **შესრულებაში** 600 **მან.** **და** **წმ.** **ნინოს** **სასწავლებელში** 1120 **მან.,** **მსურველებმა** **უნდა** **მიმართონ** **თხოვნით** 10 **მარიამობის** **თვემდე** **წერა-კითხვის** **გამავრცელებელ** **საზოგადოების** **კანცელარიას.**

✦ **სახალხო** **კითხვების** **გამართვა.** **წერა-კითხვის** **საზოგადოებასთან** **არსებულ** **სახალხო** **კითხვებისა** **და** **ბიბლიოთეკების** **მომწყობი** **სექცია** **ამ** **დღეებში** **გამართავს** **სახალხო** **და** **საბავშო** **კითხვებს** **ბუნდოვანის** **სურათებით** **ბორჯომის** **მახლობლად** **მდებარე** **სოფლებში**—**სადგურსა,** **ტბასა,** **წაღვერსა** **და** **ცემში.** **შემდეგ** **კითხვები** **გაიმართება** **მოლითსა,** **წებოძირსა,** **ბეჟათუბანსა** **და** **ზღვარში** (**შორაპნის** **მაზრა**). **წაკითხულ** **იქმნება** **ლექციები** **ქართველებისა,** **ინგლისელებისა,** **ფრანგებისა** **და** **გერმანელების** **ზნე-ჩვეულებაზე.**

✦ **ამინდი** **სოფლად.** **როგორც** **მოსულებმა** **გვიამბეს,** **წვიმები** **ივრის** **ხეობაშიაც** **მოდის** **და** **დიდად** **რგებს** **მინდვრებს** **და** **ვენახებს.** **ხალხს** **ცოტა** **იმედი** **მიეცა** **მოსავლისა.**

✦ **ბიბლიოთეკის** **კურთხევა.** **კვირას,** 24 **მკათათვეს,** **სოფ.** **ქვიშხეთში** **აკურთხებენ** **წერა-კითხვის** **საზოგადოების** **ბიბლიოთეკა** **სამკითხველოს.** **კურთხევაზე** **დასასწრებლად** **რამდენიმე** **კაცი** **თბილისიდანაც** **მიემგზავრება.**

✦ **შემოიტანეს** **თბილისში** 19 **მკათათვეს:** **ფქვილი** 20 **ვაგ.,** **ქერი** 5 **ვაგ.,** **ღვინო** 5 **ვაგ.,** **ხილი** 1 **ვაგ.,** **პამიდორი** 630 **ფუთი,** **თევზი** 219 **ფ.** **და** **ძმარი** 51 **ფუთი.**

✦ **გადამდები** **ხნეულებანი.** 20 **ამა** **თვეს** **ქალაქის** **საავადმყოფოში** **იწვნენ:** **მუცელათი** 7, **მენინგიტიანი** 2, **ყვავილიანი** 2, **საოფლიანი** 169, **სახადიანი** 50, **ხუნაგიანი** 7 **და** **ქუნთრუშიანი** 37 **კაცი.**

ზუგდიდი.

ზუგდიდის **წვრილი** **კრედიტის** **ამხანაგობის** **თაოსნობით,** **კვირას,** 24 **ივლისს,** **დაბა** **ზუგდიდში** **მოწვეულია** **მთელი** **მაზრის** **წვრილი** **კრედიტის** **ამხანაგობათა** **კრება** **მოლაშქრეთა** **ჯარში** **გაწვევის** **გამო.** **გამორკვეულა,** **რომ** **ზოგს** **წვრილი** **კრედიტის** **ამხანაგობის** **გამგეობას** **ყველა** **წევრი** **აკლდებოდა,** **ზოგსაც** **რამოდენიმე.** **ასეთ** **პირობებში** **წვრილი** **კრედიტის** **საქმის** **წარმოება** **შეუძლებელი** **ხდება.** 24 **ივლისის** **კრების** **დანიშნულებაა** **იხელმძღვანელოს** **ასეთი** **გარემოებით** **და** **იშუამდგომლოს** **ვისთანაც** **ჯერ** **არს,** **რომ** **წვრილი** **კრედიტის** **გამგეობებს** **შერჩნენ** **დღეევანდელი** **წევრები,** **როგორც** **ისეთ** **დაწესებულებებს,** **რომელიც** **ხალხის** **საჭიროების** **დაკმაყოფილებას** **და** **მით** **ჯარის** **ზურგის** **გამაგრებას** **ემსახურება.**

„**იასაულო,** **უჩვენე** **ეშიკალბს** **ალთანგის** **სიხტურაშვილები** **ახლავ** **ფალავანდიშვილებს** **უნდა** **მიაბარებინა.** **შამისის** **ე.** **ქნს** **უოე.**

○○○○ **მსაჯულთ** **ბეჭდები.**

გვერდზედ **მიწერილია:**

„**ქ.** **ჩვენ** **მეფე** **სრულიად** **საქართველოსი** **და** **სხვათა** **მეორე** **ირაკლი** **ვამტკიცებთ.** **მთიბათვის** **გ.** **ქნს** **უოე.** ○ **ერეკლე.**

ამ **განაჩენის** **დაფასება** **იურისტებისთვის** **მიგვინდვია,** **მხოლოდ** **ვიტყვით,** **რომ** **ასე** **მარტივად** **საქმის** **გარჩევას** **და** **ასე** **ჩქარა** **დასრულებას** **ჩვენ** **დროში** **სანატრელად** **მიმაჩნია.**

ამასთანავე **ყურადღების** **ღირსია** **მოწმების** **ჩვენება** **და** **დაფიცება,** **მართლაც** **რომ** **მაშინ** **ფიცს** **დიდი** **მნიშვნელობა** **ჰქონია,** **ეხლა** **კი** **ორ** **მაწეთად** **ბევრს** **ტყუილად** **ვაფიცებთ.**

136 **წლის** **წინათ** **ავნევის** **მამულზედ** **დაწყებული** **დავა** **შვიდი** **წლის** **განმავლობაში** **დამთავრდა.** **ეხლა** **ეს** **დავა** 18 **წელიწადი** **სწარმოებს** **და** **ჯერაც** **არ** **დამთავრებულა.**

რაც **შეეხება** **სოფ.** **უნევის** **მამულის** **დავას,** **ნათლად** **სჩანს,** **რომ** **ფერშანგიანთ** **ოჯახს** **უდავნია** **და** **გამოუტანია** **სწორეთ** **ის** **მამული,** **რაც** **დღეს** **ხელში** **უჭირავთ.** **დანარჩენი** **მამული-კი** **ნასყიდობის** **სიგელებათ** 1743 **წ.** **და** 1750 **წ.** **თარიღით** **თ-დ** **მაჩაბლებზედ** **გადავიდა.**

რომ **ფერშანგიანთ** **ოჯახი** **არ** **ცდილიყო** **და** **ისე** **მიეტოვებინა,** **როგორც** **დანარჩენმა** **მონაწილეებმა,**—**დღეს,** **რაზედაც** **დავა** **არის,** **ის** **მამულიც** **მაჩაბლების** **ხელში** **იქნებოდა.**

ამ **ბოლო** **დროს,** **უნევის** **საქმე** **რომ** **ირჩეოდა,** **დაბარებულნი** **იყვნენ** **ყველანი,** **გარჩევის** **დროს** **სასამართლომ** **კითხვა** **მისცა** **მოდავე** **ფალავანდიშვილებს:**—**თქვენ** **სცნობთ** **თუ** **არა** **გაყიდულათ** **სოფ.** **ავნევის** **მამულს?**

— **არაო,** **უპასუხეს** **ფალავანდიშვილებმა.**

— **მაშ** **იმ** **დანარჩენ** **მეოთხედში** **წილსა** **თხოულობთ?**

-- **დიახ,** **მონაწილენი** **ვართო**

— **მაშ** **მოაწერეთ** **ამ** **თქვენს** **განცხადებაზეო** **და** **ხელს** **აწერენ.**

ამ **ოქმზედ** **ხელის** **მოწერა** **თითქოს** **ეძნელებოდათ,** **გრძნობდნენ,** **რომ** **უსამართლო** **იყო** **მათი** **დავა.**

სასამართლოც **უსამართლოთ** **მოიქცა** **და** **მათ** **სასარგებლოდ** **გადასწყვიტა,** **უარეყო** **სრულიად** **საქართველოს** **მსაჯულთ** **კრებულის** **განაჩენი.**

მომჩივანთ **პალატაში** **გადაუტანეს** **ეს** **საქმე,** **შემდეგ** **სენატისაკენაც** **გაისერნებს,** **იქიდან** **დაიბრუნებენ,** **ხელ** **ახლად** **გასარჩევად** **და** **ასე** **ამრიგად** **ამ** **დავებში** **ბევრი** **სიცოცხლეს** **გამოესალმება** **და** **საქმის** **დაბოლოებას** **კი** **არავინ** **ეღირსება.**

ვაი **ამათ** **ხელში!**

——

მთელი **ავნევის** **მამული** **უდრის** 1316 **დეს.** 1440 **კ.** **ს.** **და** **ამ** **მამულში** **შედის** **სამი** **სოფელი:** **ავნევი,** **დიდ-მუხა** **და** **ავნევის** **ტალიანა.**

ავნევში **ცხოვრობენ**—74 **კომლი** **ქართველი,** **დიდ-მუხაში**—18 **კომლი** **ოსი** **და** **ავნევის-ტილიანაშიაც**—12 **კომლი** **ოსი.**

თითქმის **მთელი** **ეს** **მამული** **გლეხებზედაა** **გადასული** **და** **საბატონო** **მამული** **ბევრი** **აღარაა.**

ავნეველებმა **საგლეხო** **ბანკის** **საშუალებით** **შეიძინეს** 255 **დესეტინა,** **დანარჩენი** **კერძოდ** **წვრილ-წვრილად** **შეისყიდეს.** **დიდ-მუხელებმა** **ხომ** **სულ-შეისყიდეს,** **აგრეთვე** **ტილიანელებმაც.**—

ავნევის **მამული** **შეიცავს:** **სახლის** **ადგილი**—12 **დ.** 1120 **კ.** **ს.,** **ბაღვენახები**—22 **დეს.** 320 **კ.** **ს.,** **სახნავია

გზა და გზა

(შემდეგი)

ს. ალმასიანის მცხოვრებს (კობის საზოგადოება გახლავთ) ცხენი დაეკარგა. ალღოთი იქვე გავლილ ჯოგს დაედევნა. 250 ცხენში თავისი ცხენი იცნო. ამ ცხენებს ინგუშები ომის საჭიროებისათვის მოერეკებოდნენ. უფროსს ცხენისთვის კუდი მოეჭრა, შეეკაზმნა და ისე მობრძანდებოდა, რომ პატრონს ვერ ეცნო ცხენი. გლეხის პრეტენზიებს პირქუშად შეხვდა ინგუში. პატრონს მეტი არა დარჩენოდა რა, რომ ბედზე გზად გამოვლილ ქვეშეთის ბოქაულისთვის მიემართნა. გაიმართა დავა.

— შენია ეს ცხენი?

კითხულობს ბოქაული. გლეხი ადასტურებს და თან ცხენის ნიშნებს ჩამოსთვლის. ახლა ინგუშს იმავე კითხვით მიჰმართავს. ინგუში პირდაპირ პასუხს არ იძლევა.

— არ ვიცი.

— მაშ ვინ იცის?

— მე ის ვიცი, რომ ეს ცხენი ამ ჯოგიდანაა.

— ნალიანია თუ უნალო?

ინგუშმა თვალის შევლება ვერ მოასწრო და კიდევ „არ ვიცით“ უპასუხა. გლეხი თავის ბაკში გაიქცა და იქვე მახლობლად ნაპოვნი მოჭრილი კუდი მოიტანა და ხელახლად ამოწმებს, რომ ცხენი მას ეკუთვნის. დიდი დავი-დარაბის შემდეგ ბოქაული უბრუნებს ცხენს საბრალო მოხევეს და პასუხისმგებლობას თვითონვე კისრულობს. გამწყრალი ინგუში გაირეკავს დანარჩენს ჯოგს და ემუქრება ჩივილს.

ეს ფაქტიც საკმარისია თუ რა არის „სამხედრო გზა“ მთისათვის, ეს ის გზაა, სადაც დღეში ათასობით ნახირს მოერეკებიან.

ამნაირად, „სამხედრო გზა“ ბევრნაირად აზარალებს მოხევეთ. იძულებითი მუშაობა 150 ვერსის მანძილზე (ყაზბეგიდან დუშეთამდე) პატარა საქმე არ გახლავთ. მარტო ერთ ქინვალის ხიდზე თხოულობდნენ სამას კაცს დღეში, მასთან სამასამდე ურემს, სასყიდლად კი კაცზე მანეთიც არ ემეტებოდათ. ამავე გზამ ააოხრა ნათესები, ამავე გზის საშუალებით ელალებიან საბრალო ნაშთს საქონლისას...

* * *

მთის საგოდებელს საქონლის მობილიზაციაც შეადგენს. ორჯელ წაასხეს ცხენები და სახედრები. ეს მთისთვის დიდი უბედურობა გახლავთ და აი რატომ: როგორც ვიცით, მთა მეტად ღარიბია სახნავ-სათესით. მის მოსავალს უმთავრესად ქერი შეადგენს, რომელიც ბევრი რომ ვსთქვათ, ორ თვემდე ძლივს ჰყოფნით. შიმშილობის თავიდან ასაცილებლად მთა კავკავისკენ ცხენით და სახედრებით მიეშგზავრებოდა სიმინდის ჩამოსატანად. ეხლა ესეც არ შეუძლიან და აი რატომ: დიდი ხანია მთიელთა რქიანს საქონელს ლარსის იქით აღარ უშვებდნენ იმისი შიშით, რომ საქონლის ჭირი არ შემოიტანონო. რამდენად სამართლიანი იყო და არის ეს მთიულთათვის სავალალო დადგენილება, ეხლა კამათს არ გავოვწვევთ. ვიტყვით მხოლოდ, რომ თვით მთიელნი არ უშვებდნენ იქაურთა რქიან საქონელს სწორედ იმავე შიშით, რომ ჭირი არ შემოიტანონ ჩრდილოეთიდანაო. ასეა თუ ისე, დღეს ფაქტთან გვაქვს საქმე, რომ მთა უცხენოთ და უსახედროდ თითქმის შიმშილობის განაჩენზე აწერს ხელს. აი, რაზე გვსურს ჩვენის ქვეყნის მესვეურთა ყურადღება მივაქციოთ; რომ მთიელთა გაჭირვება ამცნონ სადაც ჯერ არს და ის სიკეთე მაინც უყონ, რომ ძაუგამდე (კავკავამდე) მთიელთ დაბრკოლება არ მისცენ და რქიანი საქონლით შეაძლებინონ სიმინდის საზამთროდ გამოტანა.

* * *

მრავალ ვაებათა შორის შეგვიძლიან ერთზეც მივუთითოთ როგორც დამახასიათებელს მოვლენაზე.

მთას რაკიღა სახნავი მამულები არ მოეპოვება, უნებურად ისევ იმ სიმდიდრეს მიჰმართავს, რაც ხელთ ბუნებამ მისცა. ეს გახლავთ მთა, მაგრამ მთის საიდუმლო სიმდიდრე ჯერ მისთვის იქვე მიუგნებელია, როგორც წინაპართათვის მთელს საუკუნეთა განმავლობაში. პირდაპირი სარგებლობისთვის დარჩენია მხოლოდ თვალსაჩინო სიმდიდრე. ეს გახლავთ ტყე. მერე რა პირობებშია ჩაყენებული ტყით სარგებლობა? მეტად სავალალოში. მოგეხსენებათ მთელი ეს სიმდიდრე სახაზინოთ არის გამოცხადებული. ტყეს თავისი დამცველები ჰყავს. დამცველთა იერარქია თვალუწვდენელად არის გაჭიმული. უბედური მოხევე თვალცრემლიანი შეჰყურებს მას და ხშირად თავის სოფლიდან ოცზე და ორმოცვერსის სიშორეზე უხდება წასვლა, რომ ტყით ისარგებლოს. რაში გამოიხატება ეს „სარგებლობა“? რაში? მოისმინეთ. მოხევემ უნდა მიჰმართოს ტყის მცველს. ტყის მცველი მხოლოდ განსაზღვრულ დღეებში იღებს მსურველთ საჭირო კვიტანციების მისაღებად. ეს უბრალო მკითხველისთვის თითქოს საიმისოს არას შეადგენს, მაგრამ მოხევისთვის ეს საკითხი მეტად მწვავეა და აი რატომ: ჯერ აი ჩემთვის სიმართლე უნდა მოგახსენოთ დაკარგულია დღეთა აღნუსხვა და რომ არ შემეშალოს, უნდა აქეთ-იქით გამოვიკითხო დღე და რიცხვი. მით უმეტეს წერა-კითხვის უცოდინარ მოხევისთვის შეუძლებელია ყოველიფრის სწორედ გათვალისწინება. და აი ჩვენი მოხევეც თუ ღმერთი გაუწყრა და აღნიშნულს ვადაზე არ მივიდა, იძულებული გახდება 25—40 ვერსი უკანვე გაიაროს ხელცარიელმა და უცადოს საბედისწერო „ოჩერედსა“.

ტყეში მრავალი სათიბებია. არც ამით შეუძლიან ისარგებლოს მოხევემ, თუ საჭირო კვიტანციას არ ეღირსება. ერთი სიტყვით, ყოველმხრივ განსაზღვრული დრო, განსაზღვრული გადასახადი, განსაზღვრული წესი და რიგი. თუ ეს არ იქნება, არავინ არასფერს არ ეღირსება. ღმერომა დაიფაროს მერე თუ ყოველთვის ასეთი დამთხვეული ტყის მცველი ეყოლებათ, როგორიც ამ ჟამადა ჰყავთ. მის ჟინიანობას და სიანჩხლეს ხშირად სიგიჟეს აწერენ, მაგრამ ამ შემთხვევაში რა შუაშია მოხევე, რომ ვისიმე ბუნებრივ სიმახინჯისთვის დაიტანჯოს და ამდენი უბედურობა დაითმინოს?

არა, უქნდებედოა მთა. თვით სიკვდილამდე აღმოხეთქილი პროტესტი ყოველგვარი იძულებისა და უსამართლობისა დღითი დღე იჩაგრება, ბეჩავდება, ვიდრე შოლტი და ულელი მასაც იმ მაიმუნის ხვედრამდე არ ჩამოიყვანენ, რომ სურვილებისამებრ თოკზე მალაყებით ათამაშონ.

დ. კასრაძე.

(შემდეგი იქნება)

წერილი ხევიდან

(ალექსანდრე ფრონელის სახსოვრად)

(დასასრული)

აწ ახლად გარდაცვალებულმა პატიოსანმა მშრომელმა ალექსანდრე ყიფშიძემ თავისი გონივრულის გამოკვლევით და სიმართლით აღწერით კარგათ გაგვაცნო ჩვენი წინაპარნი და მათი ღვაწლი და მოქმედება, გაგვითვალისწინებინა ის პირნი თუ ის მამა-პაპანი, ვინც ყოფილან თავის ქვეყნის ერთგულნი ანუ მოღალატენი. კარგათ ჩანს ისიც თუ ვისი მამა-პაპაც ჩინების და ორდენების გამო თავის თანამამძეებს, თავის ბატონ-პატრონებს ღალატობდენ და ამითი საბოლაო საქმეს საშვილიშვილოთ აფუჭებდენ. ამ დროს ზეპირ-გადმოცემით ვიცით, რომ ხევში საზოგადოთ დიდი შური და განხეთქილობა ყოფილა; ორ ბანაკად გაყოფილა ხევის მკვიდრთა აზრი, ერთნი გაბრიელ ყაზბეგის მეოხებით ექომაგებოდენ რუსობასო, და მეორეები-კი მტკიცედ იბრძოდნენ ფარნაოზის და იულონის სასარგებლოთაო. რის გამოც დიდი შური და ბიზღილი იყო ხალხში ჩამოვარდნილიო. მრავალი ცუდუბრალოთ შურის მსხვერპლი შეიქმნა ბიზღილისაო; რომელიც არც ნადირა კობაიძეს ასცდა ეს საშინელი ბრალიო. ამაზედ ნადირა კობაიძე, თავის თავზედ და სიონის დაწვაზედ შემდეგს ლექსსა სთხზავს:

— სამი თემი გავიფიცეთ,
მთიულეთი და ხევია.
ხანდო და გუდამაყარი
რუსოც ხომ ჩვენზედ სწერია.
ოსმა, რუსმა და მთიულმა,
ყველამ ჩვენ მოგვყო ხელია,
გაგვინაპირეს სიონი უკუ გაგვიდგა თემია.
ღვთაებას დასწვეს კალთები,
მცხოვრებთ მოგვიდვეს გენია.
ღუოაებავ უცვალებელო,
შენ სამართალი ჰქენია,
მოჰკითხე მის ძე ბოლოსა
ვინც დასძრა უნჯი შენია.*)
შეგვირყივეს წირვა-ლოცვა
აღარ გვიდგება მღვდელია.
სულ დაგვიწვეს ჭირნახული,
ნამუშევარი ჩვენია.
ორივ ყანებზედ ეფინა,
ქერ-სვილი, მშრალი ქერია.
დაპნეულს იფქლს, რომ დავხედე
მე მან მომწყვიტა წელია.
დედაი მეუბნებოდა, დედაი ვეფხვის ფერია.
ყველა კაცს ეგ ემართება,
თუ დასჭარბდება მტერია.
კიდევ ხან და კიდევ სთესე
საგაისოთა ბევრია.
გამოძიება დაიწყეს,
ვინც, რომ ავისა მქნელია,
გახდა ერთურთის ბიზღობა
ერთი მეორის მტერია.
მერე მეც იქ დამიბარეს სადაც
იყო ჩვენი თემი,
დამიჭირეს მაგრათ შემკრეს
ხუნდნი ჩამიყარეს სქელნი.
— თუ ავის მქნელებს ეძებით,
გინდა დაგიღიროთ ხელი?
ვინც, რომ ავის მქნელი იყო,
სუყველას გადაჰკრა ფერი?
— ნადირავ!—ეგრე ნუ ამბობ,
შეხოხორდენ მოხევენი!
მერე ისევ შემენანნეს,
თავს მე ვიდევ ეს სასჯელნი.
ენა-უნა, მობეზღარი
ვინ არიან საქებარნი?!
თარჯიმანიც მღალატობდა
მოიხმარნა ენა გველნი.
თოფებზედ შუბი ააგეს,
მაშინ მომწყდა ელდით წელნი,
გუნებაში მას ვფიქრობდი
ყავლნი გათაულან ჩემნი.
გაიცინა პოლკოვნიკმა,
მხრებზედ გადმომასხნა ხელნი.
— ღმერთმა იცის მეც-კი გატყობ
არ გძევს, ავის კაცის ფერნი.
შენ მთიულეთს ელჩად წადი
ხალხი შემარიგე თქვენი.
ვინც, რომ თავნი კაცნი იყვნენ,
ჯამაგირი უთხარ ჩემი!
არას ვერჩი არავისა,
შუა მიეც გამჩენელი!..
— ბარემ ჩემსა იქ გაგზანას,
აქვე გამომჭერი ყელი!
მე რომ იქ ელჩად წავიდე,
არ მოვრჩები ჩაუქვლელი.
იქაც ღალატს დამწამებენ,
ვინ იქნება ჩემი მხსნელი?..
თუ მე ჩემს თავს არ დავზოგამ
წვრილშვილი მყავს სანანელი!
— წვრილშვილს ხელმწიფე დაგიზდის,
თუ იქნები, საქმის მქნელი.
თუ არ წახვალ, სულ ერთია,
მაშ აქ გელის განსაცდელი!
— წადი ყველა მოახსენე,
რისაცა ხარ აქ მნახველი,
უთხარ რაცა ჯარები მყავს,
ჯაბახანა აშოტველი.
მე ქართველებს არას ვერჩი,
ქალაქში ვარ წასასვლელი.
ჩხუბი თათართან გვწადიან,
მე იქ მელის მართებელი.
თორემ სისხლით მოირწყვება,
მათი მთა და მათი ველი.
იმ ღამეს ფეხხუნდიანსა
შეკრული მაქვს,ორივ ხელი,
იმასაც არ მაჯერებდენ,
თავსა მადგა ორი მცველი.
აბა კაცო! რაღას ფიქრობ?
წადი გირჩევ რაღას ელი?
უბეში წიგნი ჩამიდეს,
გულსა დავიხვიე ხელი,
ცოლშვილი მძევლათ შეიპყრეს,
თავდებია შიო მღვდელი!
ორ-ცეცხლს შუა თავი
გავყავ, ორწყალშუა
ფეხი, ხელი.
აქეთ რუსი დავიმტერე,
იქით კიდენ ჩვენი ერი!
ორივ მხრით ნდობა დავკარგე,
რაღა ვიყავ, რისი მქნელი?
როცა მიველ ჯვართ-ვაკესა,
შემხვდენ მთიულ-ჯამურელი.
წინ მიუძღვის მაურავი,
სახლის კაცი არის ჩემი [1]),
დადგენ და კითხვა დაიწყეს,
— საქმე როგორ არის ჩვენი?
ახლა კობაიძემ უთხრა:—
ხევში არის განსაცდელი.
რადგან მკითხამთ, მოგახსენებთ,
არ ხართ ხევში წასასვლელი.
მეტის-მეტი ჯარები ჰყავთ,
თოფები აქუსთ მეტათ ბევრი.
მწყობრად უდგასთ ზარბაზნები,
ჯაბახანა უძლეველი.
გამოგზავნეს შუა კაცად,
შერიგება უნდათ თქვენი.
იჩხუბებთ და რას გახდებით?
ხალხი ამოსწყდება თქვენი!
აჰა წიგნი პოლკოვნიკის,
თქვენს წინაშე მონაწერი.
იქვე ჩაქვლა დამიპირეს,
თქვეს: ეს არის ჩვენი მტერი.
უმოწმათაც არას გეტყვით,
გვერდზედ მიდგას მეზობელი.
შეეშინდა მეზობელსაც,
ვაი თუ მართლა დაგვყონ ხელი.
მოუბრუნდი, გაუჯავრდი,
ფიქრი ნურა გაქუსა ჩემი,
ჯერ ხომ თავი მთიული ვარ,
სახლი კაცები მყავს ბევრი! [2])
სისხლი არ დაიკარგება
არაოდეს არსად ჩემი!
ჩემთან ამას ვერ გაბედვენ,
არც ვარ მე ტიალ-ოხერი!

განსვენებული ალ. ყიფშიძე (ფრონელი) ხშირად ასახელებს გაბრიელ ყაზბეგს სტეფანწმინდის მებატონეთ, მაგრამ არ ვიცი ეს საბუთები საიდან, რომელის წყაროებიდან ამოიღო. ჩვენ ხევ-მთიულეთს არას დროს მებატონე არავინ გვყოლია მას შემდეგ, რაც მეფე ერეკლემ არაგვის ერისთაობა გადაადგო, მაშინაც კი არაგვის ერისთავებს დიდად არ უხრიდა თავისუფლების მოყვარე მთიულეთი და ხევი ქედსა, რის გამოც მლეთში კიდეც მოჰკლეს ჯიმშერ ერისთავი. როგორც ისტორიით, აგრეთვე ზეპირგადმოცემით კარგად ვიცით, რომ გაბრიელი მებატონე კი არ იყო სტეფანწმინდისა, არამედ დიაკონი და ჭკუა-გონებით განვითარებული სტეფანელი, გვარად ჩოფიკაშვილი, რომელმაც 1800 წლებში რუსეთის მხედრობას დიდი შემწეობა აღმოუჩინა ძმათა ერისთვიანებთან ერთად დარიალის შემოსავალს ვიწრო გზებში და მიიღო მაიორის ჩინი, რომელმაც ბოლოს ღენერლობაც დაიმსახურა. მებატონეებს, ცხადია, უნდა იმ დროს ჰყოლოდა ყმა და მამული, რომელთაც დღეს ნადელის გლეხები ერქმეოდა. მართალია, თუმცა მის შვილს მიხელს თითო-ოროლა საქართველოს მებატონეებისგან ყმები შეუსყიდია, მაგრამ არც ერთი მოხევე და სტეფანელი კი ყმად არავინა ჰყოლია. იმ თავით დღემდე სოფელი სტეფანწმინდა ითვლება სახელმწიფო მიწაზედ მცხოვრებათ და სახელმწიფო თავისუფალ გლეხად—რომ იტყვიან: „არცა ვისი ყმა ვყოფილვარ, არცა ვინმე ყმად მყოლიაო“.

დღეს მრავალი აფიცერ-ჩინოვნიკები არიან ხევსა და სტეფანწმინდაში. რასაკვირველია, ესენი ბოლოს ღენერლობასაც დაიმსახურებენ, მაგრამ მებატონეობას კი ვერავინ დაიჩემებს...

კალმის-წვერა.

[1]) მთიულეთში სამი სოფელი არის კობაიძეებისა, რომელთა რიცხვი ასს კომლს აღემატება. მაშინ მთელი გვარეულობა სისხლს ერთად იხდიდენ და ახდევინებდენ სხვასაც.

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი

ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

თბილისიდან გადის:

ბათუმისკენ	საფ.	№ 3,	11.03	დილ.
„	სამგზ.	№ 9,	10.33	საღ.
ბორჯომის	სამგზ.	№ 17,	8.27	დილ.
„	სამგზ.	№ 19,	3.19	დღ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	11.13	დილ.
„	სამგზ.	№ 8,	3.54	დღ.
„	საფ.	№ 4,	9.28	საღ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-3,	11.13	საღ.
თელავისაკენ	№ 4,	7 „	58 „	დილ.

თფილისში მოდის:

ბათუმიდან	სამგზ.	№ 10,	9.52	დილ.
„	საფ.	№ 4,	8.38	საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.43	დილ.
„	სამგზ.	№ 18,	10.12	საღ.
ბაქოდან	საფ.	№ 3,	10.08	დილ.
„	სამგზ.	№ 7,	4.12	საღ.
„	ჩქარ.	№ 5,	8.48	საღ.
თელავიდან	№ 3,	7 „	58 „	საღ.

თუ გსურთ, მიმართეთ
— ცნობის პოლისორას —
ი. თ. გვათუასას
თბილისი, ვერის დაღმართი,
სახლი მელიქ აზარიანისა № 1

ფუამავლობას ეს კონტორა
გასწევს რაგორც ქალაქელთა
ისე ქალაქ გარეშელთათვის

ყველა საქმეს კონტორა სწრაფულ
და პირნათლად ასრულებს.

ხელმისაწვდენ ფასებში

მისამართი პროვინციელთათვის: Тифлисъ, Верійск. спускъ И. Т. Гватуа, Справочная контора.

საუკეთესო კახური
ღვინის საწყობი
ადამ ზურაბის ძის
ბერელაშვილისა
მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.
(102—წ.)

ქ. ბაქოში
ღვინით ვაჭრობა
„მელაანი“
თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.
იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები
(112—წ.)

საგალანტერიო მაღაზია
ერ. ივ. ჭავჭანიძისა და
ი. ი. გველესიანისა
იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.
იშოვება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:
ჩულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი
(101—წ.)

ქ. თბილისში, ოლგას ქ. № 6, ჟურნალ-გაზეთების კანტორა ტ. ფიგ. მალაზია

„განათლება“-ში

იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები, მწერ. სურათები, ომის ქარტები
რომლებიც გაეგზავნება მსურველთ მოთხოვნილებისთანავე.

პროვინციელ აგენტებს გაეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები: „თანამედროვე აზრი“, „საქართველო“, „ეშმაკის მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“,“, „სახალხო ფურცელი“, „ზვირთი“, ჟურნ. „განათლება“ კავკაზსკოე სლოვო „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзэ.

ტელეგრამის ადრესი: Ольгинская 6. Таварткиладзе.

ხილეული, მადნეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: მოითხოვოთ და სვან ყოველთვის მხოლოდ მიტროფანე **ლაღიძის** და ამხ-ს ქარხნის საუკეთესო ხილეულ მადნეულის ნამდვილი სამკურნალო წყალი და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გაბზარებულია და ხშირად შეცდომაში შეყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების ყალბი ეტიკეტების მიმსგავსებით ნამდვილი ლაღიძის წყლის ეტიკეტის ნიშანი შემდეგია

ქათრიოულად თავმოოთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო სამრეწველო მინისტრის მიერ პეტროგრადში ტ. თვით პრობკებსაც აწერია

„ლაღიძის წყალი“

მხოლოდ და მარტო ლაღიძის წყალია მომზადებული სრულიად უვნებელის მაღალი ღირსების მასალებისაგან, ნამდვილი და საუკეთესო ხილის წვნით და მასთანვე

სუნი და გემოც საამური აქვს
წლ.

თევზის მრეწველნი
ამ. ალეგველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვილთ, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზალალა, მცირე მარილიანი, შავი „„მეშოჩნი“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრედვე მილებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ნეტა ღმერთო სამეფოო ცოდვილ-ისოვან

სტამბა „ცხოვრება“ კალინდაისა, ყაბელის შესახვევი № 4.